ხელშეკრულება № 7
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად და 2012 წლის 10 ოქტომბრის №1852 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად (CPV 45400000)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "30-----" ოქტომბერი 2012 წ. თბილისი

ერთის მხრივ, **სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა თარხნიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 206350312
სახელმწიფო სახაზინო კოდი: სს,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCGE22; GE48TB7452934020100001

მეორე მხრივ, **შპს „მენო ინტერნეიშენალი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კურცხალიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: თბილისი ქინძმარაულის 15
საიდენტიფიკაციო კოდი: 208213084
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE96BG0000000183105303
შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება")- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ,, მოწვეული ექსპერტი" – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

მუხლი 2 .ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ქ. ქუთაისში, ირ. აბაშიძის გამზ. N22-ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის რეგისტრირებულ სარგებლობაში მყოფი უძრავი ქონების (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის ნაწილის) სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, შეასრულოს დიზაინ-პროექტის ვიზუალიზაციის კორექტირება, წარმოადგინოს არსებული შენობის რეკონსტრუქციიდან გამომდინარე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი აუცილებელი ცვლილების შესაბამისი კორექტირებული პროექტი და განახორციელოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 1 659 360 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაცხრამეტიათასსამასსამოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოს დასრულება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 5. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

5.2. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან.

5.3. ამ მუხლის 5.2. პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს შესრულებულ სამუშაოებში მისი მიზეზით გამოწვეული დეფექტები. შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ შესრულებულ სამუშაოებში წუნის გამოვლენის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით ეცნობება მიმწოდებელს. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად შეადგენენ შესაბამის დეფექტურ აქტს და განსაზღვრავენ გონივრულ ვადას დეფექტების აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეთანხმდნენ წუნდების ბრალეულობაზე ჩატარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

5.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მხარეები შეადგენენ შესაბამის დეფექტურ აქტს და განსაზღვრავენ გონივრულ ვადას დეფექტების აღმოსაფხვრელად. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ვადებში გამოასწოროს წუნი, ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულების დაბრუნება. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უნდა ფლობდნენ სათანადო კვალიფიკაციას, დადასტურებული შესაბამისი სერტიფიკატებით, რათა მოახდინონ მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოების ინსპექტირება, სამუშაოების სპეციფიკის შესაბამისად.

მუხლი 7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი დგება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოს, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ, შესრულებული სამუშაოსა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე. ამასთან ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად 2013 წელის 31 მარტამდე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სახსრები.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

9.2. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით დანართი №1-ის (შემდგომში - "ხარჯთაღრიცხვა") მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დანართი №2-ის (შემდგომში - „სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკი") შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

დ) წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოთა შესრულების შესახებ ფორმა, რომელიც ასახვს შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ღირებულებას (შემდგომში - ,,ფორმა №2");

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 11. სამუშაოს განხორციელების პროცესში წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შეასრულებს სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული რომელიმე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულებაზე მეტი ღირებულების სამუშაოს, შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და მეტობით შესრულებული სამუშაოები ჩაუთვალოს მიმწოდებელს მომდევნო ეტაპით განსაზღვრულ შესასრულებელ სამუშაოებში.

11.3. სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადა განისაზღვრება დანართი №2-ით, შესაბამისად მხარეები სამუშაოების შესრულების ვადის გამოთვლისას იხელმძღვანელებენ ამ გრაფიკით.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

12.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

12.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. წინამდებრე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0.02% პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

მუხლი 13 გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ფარგლებში.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-იანი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

14.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-იანი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 (ოცდაათი) დღით.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

15.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 16. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 17. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

17.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

17.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

18.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 19. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიერ შემსყიდველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 20. დამატებითი პირობები

20.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

20.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

20.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთიეგზემპლარი გადაეცემამიმწოდებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - რჩება შემსყიდველს.

მხარეებიარსებითადეთანხმებიანხელშეკრულებისპირობებსდაყოველივეზემოთქმულისდასტურადგააფორმესწინამდებარეხელშეკრულებასაქართველოსკანონმდებლობისშესაბამისად, ამდოკუმენტისთავშიმითითებულდღესადაწელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველისმხრიდან:	მიმწოდებლისმხრიდან:
შოთა თარხნიშვილი _____	**გიორგი კურცხალია** _____
დირექტორი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

შპს "მენოინტერნეიშენლი"

მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

ქ, ქუთაისში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ნაწილის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

თბილისი

2012 წელი

შპს "მენოინტერნეიშენლი"

მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

ქ, ქუთაისში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ნაწილის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: 1659.36 ათ. ლარი

შედგენილია 1984 წლის საბაზისო ნორმებით მიმდინარე ფასებში

შპს "მენოინტერნეიშენლი"-ს" დირექტორი _____ გ. კურცხალია

თბილისი
2012 წელი

განმარტებითი ბარათი

ქ. ქუთაისში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ნაწილის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების შესაბამისად. (მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ დამუშავებული 2012 წლის II კვარტლის დონეზე სამშენებლო-რესურსული ფასებით და საბაზრო ფასებით).

ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის ჯამი გამოისახა თანხით 1659.36 ათასი ლარი, მათ შორის: სამშენებლო სამუშაოები 225.92 ათასი ლარი, სამონტაჟო სამუშაოები-847.17 ათასი ლარი, მოწყობილობა 293.24 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 293.03 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ნორმა განისაზღვრა 8%-ით, ელექტროსამონტაჟო სამუშაოებზე-ხელფასის 75%, მოწყობილობაზე- -ხელფასის 68%, გეგმიური დაგროვების ნორმა განისაზღვრა 6%-ით.

ნაკრებ სახარჯთაღრიცხვო ანგარიშში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი 18%-ის ოდენობით თანხით 253.12 ათ. ლარი საგადასახდო კოდექსის XXIV თავის 169 მუხლის პ.1ა თანახმად.

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით.

შეადგინა ე. სეთურიძე

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE29736-12

თბილისი 01 ნოემბერი 2012 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს მენო ინტერნეიშნლ (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 208213084
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ქინძმარაულის ქ,15
ბენეფიციარი: სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (შემდგომში „ბენეფიციარი")
საგარანტიო თანხა: 33,187.20 (ოცდაცამეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი და 20/100) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქ. ქუთაისში, ირ. აბაშიძის ქ. N22 -ში არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცენტრალური ადმინისტრაციული შენობის, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ნაწილის, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 33,187.20 (ოცდაცამეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი და 20/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებადე, მაგრამ არაუგვიანეს: 30 აპრილი 2013 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე სს „საქართველოს ბანკი" -ს (ს/კ: 204378869) კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, შემდეგ მისამართზე: სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი